დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფის განცხადება

სასამართლო სისტემაში კორუფციის შესახებ საჯაროდ ცნობილია

სულ მცირე 22 ფაქტი, რაც გამოძიების დაწყების ან მოსამართლეთა

კეთილსინდისიერების შემოწმების საფუძველია

2023 წლის 5 აპრილს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა 3 მოქმედ და 1 ყოფილ მოსამართლეს სავიზო სანქციები დაუწესა მნიშვნელოვან კორუფციაში ჩართულობის და თანამდებობის ბოროტად გამოყენების გამო. ამავე დროს, საქართველოს ევრო-ინტეგრაციისკენ მიმართული 9 პუნქტიანი რეკომენდაციების ფარგლებში, ევროკავშირმა მხარი დაუჭირა სასამართლოში წამყვან თანამდებობებზე მყოფი მოსამართლეების კეთილსინდისიერების შემოწმების საგანგებო მექანიზმის შემოღებას.

მიუხედავად ამისა, საქართველოს მოქმედი ხელისუფლება ხშირად იმეორებს, რომ მოსამართლეების მხრიდან კორუფციულ სამართალდარღვევებს ადგილი არ აქვს, ხოლო მათი კეთილსინდისიერების შემოწმების არანაირი საფუძველი არ არსებობს. ამასთან, 2023 წლის აპრილში ქართულმა ოცნებამ ხელი შეუშალა სასამართლო სისტემაში კორუფციის შემსწავლელი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნას.

აშკარაა, რომ მმართველ ხელისუფლებას არ სურს სასამართლოში კორუფციული დანაშაულის ნიშნების გამოძიება და მოსამართლეთა კეთილსინდისიერების შემოწმება არა საამისო საფუძვლების არარსებობის, არამედ იმის გამო, რომ ის ხელს აფარებს და ხელს უწყობს სასამართლოში კორუფციას და კლანურ მმართველობას.

მხოლოდ მედიაში გავრცელებული ინფორმაციიდან და ჟურნალისტების მიერ გამოძიებული ფაქტებიდან, სულ ცოტა 22 შემთხვევა შეიცავს კორუფციული დანაშაულის ან სხვა სახის სამართალდარღვევის ნიშნებს. ქვემოთ მოყვანილი 22 შემთხვევიდან 10 შემთხვევაში არიან მოწმეები, რომლებმაც საჯაროდ ისაუბრეს სასამართლო სისტემაში კანონდარღვევის ფაქტების შესახებ. კანონდარღვევებს შორისაა, მოსამართლის გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის, მოსამართლეთა დაუსაბუთებელი გამდიდრების ნიშნები. ყველა შემთხვევაში მაღალ თანამდებობრივ პოზიციებზე მყოფი მოსამართლეების გარკვეული ჯგუფი ფიგურირებს.

ქვემოთ მოყვანილი თითოეული ინფორმაცია აშკარად შეიცავს სისხლის სამართლებრივი გამოძიების, სხვა ადმინისტრაციული დარღვევის ნიშნებს და მოსამართლის თანამდებობასთან შესაბამისობის შემოწმების სამართლებრივ საფუძვლებს.

1. ყოფილი მოსამართლის - ბესარიონ ალავიძის 2024 წლის 28 მაისის განცხადების თანახმად, მან უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი თავმჯდომარისგან მესიჯი მიიღო, რომლის თანახმად, თუ არ მიიღებდა ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ქართულ ოცნებას სჭირდებოდა, მას "ტვინს გაასხმევინებდნენ". ამასთან, ყოფილი მოსამართლის განცხადებაში ირკვევა, რომ სხვა საქმეზე მან მიიღო შეთავაზება, მიეღო წინასწარ შეთანხმებული გადაწყვეტილება, სანაცვლოდ კი მის მიმართ დამოკიდებულების შეცვლას შეპირდნენ. ამასთან, ბესარიონ ალავიძე იხსენებს, რომ მოსამართლეობის პერიოდში მას კლანი დაემუქრა, თუ ისაუბრებდა ჟურნალისტებთან საჯაროდ სასამართლოში არსებულ პრობლემებზე, "მას შეექმნებოდა პრობლემა, გადაუვლიდნენ და უკან არ დაიხევდნენ არაფერზე".
2. მოსამართლე ბესარიონ ალავიძის 2022 წლის 17 სექტემბრის ინტერვიუდან ირკვევა, რომ კლანის მხრიდან არაერთხელ ყოფილა მასზე ზეწოლის ფაქტი, რათა მიეღო გარკვეული სახის გადაწყვეტილებები, რაც სუსის უფროსის ყოფილი მოადგილის, სოსო გოგაშვილის განცხადებითაც დასტურდება: "ვადასტურებ ბესარიონ ალავიძის მიერ ინტერვიუში მოყვანილ ზეწოლის ფაქტს. ეს განვახორციელეთ ჩვენ, სუს-მა მიხეილ ჩინჩალაძის მოთხოვნის შემდეგ." მისი თქმით, სუს-მა დავალება მიიღო, გავლენა მოეხდინა ალავიძის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე, რისთვისაც უნდა შეეთავაზებინათ მუდმივი სამსახური, ფულადი პრემია და ხელშეუხებლობა. ეს ყველაფერი უნდა მომხდარიყო სახელმწიფო ინტერესებზე აპელირებით, უარის შემთხვევაში კი პრობლემების შექმნით. მოსამართლის თქმით, სასამართლოში ადგილი ჰქონდა "ქუჩური" წესებით საქმის გარჩევას, დაბარებას კაბინეტებში, მოწოდებას კონკრეტულ საქმეზე კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების შესახებ. ბესარიონ ალავიძეზე განხორციელებულ ზეწოლის ფაქტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ეკატერინე გასიტაშვილიც ადასტურებს.
3. სუსის უფროსის ყოფილი მოადგილის, სოსო გოგაშვილის 2022 წლის განცხადებით "ჩინჩალაძის მოთხოვნით, კოორდინაცია დამყარდა სუსთან და მთავარი საკონტაქტო პირები „ოცნების" სასარგებლოდ დავების გადაწყვეტის ნაწილში ვიყავით მე და მურუსიძე." გოგაშვილის განცხადებით, საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან ჩინჩალაძესთან და მურუსიძესთან იგზავნებოდა ოპერატიული მასალა მოსამართლეების შესახებ. გოგაშვილის განმარტებით, კლანის ინტერესის სფერო არ იყო მხოლოდ საარჩევნო დავები, არამედ ნებისმიერი შეკვეთა, რაც პარტიიდან მოდიოდა უნდა შეესრულებინათ.
4. სოსო გოგაშვილის განცხადებით, მიხეილ ჩინჩალაძესა და ლევან მურუსიძეს დედოფლისწყაროში აქვთ 100 ჰექტრამდე მიწის ნაკვეთი, რომელიც მისი დახმარებით შეიძინეს 2016 წელს. ნაკვეთები გაფორმებულია მათ სანდო პირზე, ხოლო მოვლა დაევალა გოგაშვილის დაცვის წევრს ალექსანდრე სამხარაძეს. მიღებული შემოსავლიდან

ყოველწლიურად 150000-200000 ლარი პირადად გადაეცემოდა ლევან მურუსიძეს. აღნიშნული ფაქტი ალექსანდრე სამხარაძემაც დაადასტურა. ჟურნალისტური გამოძიების მიხედვით, აღნიშნული მიწის ნაკვეთის მფლობელი ლევან მურუსიძესთან დაახლოებული პირი თამთა მიქანაძე და მისი ოჯახია. ასევე, შესწავლას საჭიროებს თამთა მიქანაძის მიერ საბუთალოზე 120 კვ. მ. ბინის შეძენის ფაქტი, რომლის შესაძენად სათანადო შემოსავალი მის ოჯახს სავარაუდოდ არ ჰქონია.

5. შპს "ალიას" საქმეში მღვდელმთავარმა ანტონ ბულუხიამ თავის ბიზნეს პარტნიორთან წილების შესახებ დავაში, 2022 წელს, დახმარება სთხოვა ლევან მურუსიძესა და მიხეილ ჩინჩალაძეს. მღვდელმთავარი ანტონი თხოვდა მურუსიძესა და ჩინჩალაძეს დახმარებას დავის დაჩქარებასა და გადაწყვეტილების მიღებაში. ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლ ბერბიჭაშვილთან საუბრისას, მღვდელმთავარმა მურუსიძესთან შეხვედრის ფაქტი დაადასტურა.
6. ყოფილმა მოსამართლემ თამაზ ჯალიაშვილმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინაშე გასაუბრებისას განაცხადა, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ, ლევან თევზაძემ, ბევრჯერ სცადა მის სამოსამართლო საქმიანობაში ჩარევა, რა საფუძვლითაც არაერთხელ მომხდარა მათ შორის დაპირისპირება.
7. ნათია ქუთათელაძე 2022 წლის 27 ივლისის განცხადებაში საუბრობს საარჩევნო დავებში საქმეთა მანიპულაციური განაწილებით მოსამართლის ჩამოშორებაზე. მისი თქმით, ერთ-ერთ საარჩევნო დავაზე მან განსხვავებული აზრი დაწერა, ამასთან, დააფიქსირა თავისი კრიტიკული პოზიცია არაუფლებამოსილი პირების მხრიდან საქმის განხილვაში ჩარევის საკითხზეც. ნათია ქუთათელაძე სწორედ ამ განცხადებას უკავშირებს იმ ფაქტს, რომ მორიგი საარჩევნო დავის კოლეგიურ შემადგენლობაში ის აღარ შეიყვანეს, ხოლო მოგვიანებით უარი ეთქვა მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ დანიშვნაზე. ნათია ქუთათელაძის თქმით: "კლანის გადაწყვეტილება იყო, რომ ჩემი ათწლიანი სამოსამართლო გამოცდილების მიუხედავად, მოსამართლედ არ დავნიშნულიყავი. ყველა მოსამართლემ იცის, თუ კლანისთვის სასურველი არ ხარ, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ხმას არ მოგცემს."
8. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის - მამუკა ახვლედიანის 2019 წლის 31 მარტის განცხადებაში ვკითხულობთ, რომ განაჩენები წინასწარ თანხმდებოდა სასამართლოს თავმჯდომარეებთან. მისი თქმით, 2012 წელს, როდესაც სასამართლოში მივიდა, სია დაახვედრეს, საიდანაც ირკვეოდა, რომელ მოსამართლეს რა განაჩენი უნდა გამოეცხადებინა მომდევნო კვირაში.
9. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ეკა ბესელია 2019 წლის 18 მარტის განცხადებაში აღნიშნავს, რომ უმრავლესობის დეპუტატმა ვანო ზარდიაშვილმა პარლამენტში შესვლის შემდეგ შესთავაზა რომ აწარმოებდა ბუღალტერიას თუ ვის რა საქმეს გაუკეთებდა. როგორც ეკა ბესელიას განცხადებიდან ჩანს სავარაუდოდ ბუღალტერიაში იგულისხმებოდა სასამართლოში ჩაწყობილი საქმეები.
10. 2019 წლის 20 ივნისს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უზენაესი სასამართლოს კანდიდატთა შესარჩევად გამართულმა კენჭისყრამ გააჩინა ეჭვი, რომ იუსტიციის საბჭოს 10 წევრი

მოსამართლეობის კანდიდატებს აფასებდა წინასწარ შეთანხმებული სისტემით, კლანისთვის სასურველი კანდიდატების გაყვანის მიზნით, დადგენილი კრიტერიუმების გვერდის ავლით. კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა შემდეგ ეტაპზე გადასული უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 50 კანდიდატი, მის მიმდინარეობას სახალხო დამცველი აკვირდებოდა, რომელმაც კენჭისყრასთან დაკავშირებული ხარვეზები აღმოაჩინა. კერძოდ, კანონის თანახმად, საბჭოს წევრები კანდიდატს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებით აფასებენ, თუმცა კანონი არ ითვალისწინებდა საბჭოს წევრების მხრიდან გადაწყვეტილების დასაბუთებას, ასევე არ იძლეოდა გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას. 20 ივნისს გამართულ ფარულ კენჭისყრაში ჩართული იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრი. თითოეულს ჰქონდა 1 ბიულეტენი და 20 ხმა. გამოვლინდა 13-დან 10 ბიულეტენი, რომლებიც შემოხაზული იყო ერთნაირი სქემით, დამთხვევის მაღალი ხარისხით, კერძოდ, ომბუდსმენის აპარატის მიერ გამოქვეყნებულ ცხრილში ვკითხულობთ, რომ:

- გამოვლინდა 4 ბიულეტენი, სადაც ჯამში 137 კანდიდატიდან ზუსტად 20 ერთი და იგივე კანდიდატი იყო შემოხაზული;
- გამოვლინდა სხვა 3 ბიულეტენი, სადაც ჯამში 137 კანდიდატიდან შემოხაზული იყო სხვა ზუსტად 20 ერთი და იგივე კანდიდატი;
- გამოვლინდა სხვა 2 ბიულეტენი, სადაც შემოხაზული იყო მეორე პუნქტში მითითებულ 3 ბიულეტენში შემოხაზული 15 კანდიდატი და კიდევ სხვა 5 კანდიდატი;
- გამოვლინდა სხვა 1 ბიულეტენი, სადაც შემოხაზული იყო პირველ პუნქტში მითითებულ 4 ბიულეტენში შემოხაზული 15 კანდიდატი და მესამე პუნქტში მითითებულ 2 ბიულეტენში შემოხაზული 5 კანდიდატი.

11. ბათუმის საქალაქო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე ირაკლი შავაძე 2018 წლის 24 თებერვლის განცხადებაში იხსენებს თუ როგორ განუცხადა თავმჯდომარემ გავლენის მოხდენის მიზნით: „ჩვენ აქ ვართ ერთი გუნდი, ან იქნები ჩვენთან ერთად, ან იქნები მარტო, გარიყული“. თავმჯდომარე მისგან მოითხოვდა რომ გადაწყვეტილებები მისი კარნახით მიეღო. მისი თქმით, მოსამართლეს ხელს უშლიდნენ მართლმსაჯულების განხორციელებაში. ერთ-ერთ საქმეში, სადაც ბრალდებული ზაზა ართმელაძე იყო, დავით მამისეიშვილმა პატიმრობა ბრალდებულს თავად შეუფარდა. ამის შემდეგ, როდესაც საქმე ირაკლი შავაძეს გადაეცა, დავით მამისეიშვილმა უთხრა, რომ იგი წინასასამართლო სხდომაზეც ფიქრობდა აღკვეთი ღონისძიების - პატიმრობის, შეცვლას, თუმცა ეს არ გააკეთა, ვინაიდან ბრალდებულის ადვოკატმა და დამ მოსამართლეთა კონფერენციის მიმდინარეობისას მისი საწინააღმდეგო პლაკატები გაშალეს. სწორედ ამ მიზეზით, არც ირაკლი შავაძეს არ უნდა შეეცვალა პატიმრობა და ძალაში დაეტოვებინა ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიება.
12. ე.წ. ტესტების გაჟონვის საქმესთან დაკავშირებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის მამუკა ახვლედიანის განცხადებით, ერთ-ერთმა კონკურსანტმა

წინაწარ იცოდა საგამოცდო ტესტების პასუხები. მისი თქმით, ეს არ ეხებოდა მხოლოდ ერთ კონკურსანტს და მათი რიცხვი შესაძლოა, გაცილებით დიდი ყოფილიყო. ამასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ, ლევან მურუსიძემ და განმარტა: "არ იყო საჭირო, რომ ასეთი კონფიდენციალური ინფორმაცია გარეთ გამოსულიყო. არის ფაქტები, რომლებიც შესაძლოა, იყოს კორუფციული და ამიტომ არ იქნება დამალული. შეიძლება იმაზე მეტი ინფორმაცია მე მაქვს, რაც მამუკა ახვლედიანმა გაიგო."

13. ე.წ. ტესტების გაჟონვის საქმის მეშვეობით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე შესაძლოა დაშანტაჟების მსხვერპლი გამხდარიყო. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის, ნაზი ჯანეზაშვილის 2018 წლის აგვისტოს განმარტებით, უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, ნინო გვენეტაძეს, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, მიხეილ ჩინჩალაძის „კლანი" ებრძოდა და რადიკალურად უპირისპირდებოდა. ერთ-ერთ სხდომაზე კი დაპირისპირებამ ბულინგის ფორმა მიიღო.

    გარდა ამისა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლის, ნინო გვენეტაძის წინააღმდეგ უზენაესი სასამართლოს მენეჯერის, თიკა ბეჟაშვილის მოსყიდვის სავარაუდო ფაქტებს შეეხება 2023 წლის 29 აპრილს გაკეთებული რეპორტაჟი. ნინო გვენეტაძე ადასტურებს, რომ თინათინ ბეჟაშვილი მის "გასანეიტრალებლად" გამოიყენეს. თინათინ ბეჟაშვილთან დაახლოებული პირის მიშა ოსიტაშვილის განცხადებით, ბეჟაშვილმა დიდი ფული აიღო და გვენეტაძის წინააღმდეგ დაგეგმილ ოპერაციაში სუს-ის მოკავშირე გახდა. კერძოდ, როგორც ირკვევა, ბეჟაშვილმა საჩივარი შეიტანა გვენეტაძის წინააღმდეგ, სადაც გვენეტაძეს სამოსამართლო გამოცდის "ჩაწყობაში" სდებდა ბრალს. იმ მიზნით, რომ საქმე არ გახმაურებულიყო, ნინო გვენეტაძე თანამდებობიდან გადადგა.

14. მიხეილ ჩინჩალაძის 2015 წლის განცხადება, რომელიც მან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, ნინო გვენეტაძისა და სასამართლო კორპუსის შეხვედრაზე გააკეთა, სასამართლო სისტემაში კორუფციის არსებობას უსვამს ხაზს. იგი საუბრობს ქვეყანაში არსებულ კონკრეტული გარემოებებსა და ნიშნების არსებობაზე, რაც კორუფციის მაღალ დონეზე მიუთითებს, თუმცა გვარების დასახელებისგან თავს იკავებს.
15. მოსამართლე ლალი ლაზარაშვილის 2013 წლის 29 აპრილის განაცხადებით, მიხეილ ჩინჩალაძის დანიშვნის მიზანი მოსამართლეებზე არაფორმალური ზედამხედველობის განხორციელება იყო. იგი კოლეგიის გადაწყვეტილებების მიღებაში უხეშად ერეოდა და ასე ამყარებდა "წესრიგს". მისი თქმით, ჩინჩალაძე განსაკუთრებით სახელმწიფოს მონაწილეობით წარმოებული ქონებრივი დავებით იყო დაინტერესებული. სწორედ მის არაკანონიერ მოთხოვნას შეეწინააღმდეგა ლალი ლაზარიშვილი და მისი თქმით, ამ ქმედების გამო შური იძიეს მასზე დისციპლინური მექანიზმის გამოყენებით. კერძოდ, 3 წლის განმავლობაში განხილული მისი ყველა საქმე შეისწავლეს, მიკერძოებულად შეაფასეს ვადების დაცვის საკითხი და დისციპლინური სახდელი - შენიშვნა გამოუცხადეს.

ამას გარდა, ლალი ლაზარაშვილის თქმით, პირველ ინსტანციასა და სააპელაციო სასამართლოებში დაინერგა მცდარი პრაქტიკა კანონის ისეთი განმარტების, რომლის მიხედვითაც დამსაქმებელს ნებისმიერ დროს, ყოველგვარი მოტივაციის გარეშე ექნებოდა უფლება, გაეთავისუფლებინა დასაქმებული. ლალი ლაზარაშვილმა დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა შეცვალა და ახალი პრაქტიკა დაადგინა. "ურჩობის" გამო კოტე კუბლაშვილმა პლენუმს წარდგინებით მიმართა. პლენუმის გადაწყვეტილებით, ლალი ლაზარაშვილის სურვილის საწინააღმდეგოდ, იგი სისხლის სამართლის პალატაში იქნა გადაყვანილი. ლალი ლაზარაშვილზე ზეწოლას ახორციელებდა ასევე სამოქალაქო პალატის თავმჯდომარე ვასილ როინიშვილი, რომელსაც სურდა მოსამართლეს მისთვის სასურველი გადაწყვეტილებები მიეღო. ("მე აქ მჭირდება გუნდი, თქვენ კი "დეტსკი სადი" გამიმართეთ"). ვასილ როინიშვილი ამჟამად საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეა.

16. 2007-2023 წლებში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლეთა მივლინების შესახებ 535 გადაწყვეტილება მიიღო. განსაკუთრებით საყურადღებოა სასამართლოს ინსტანციებს შორის მივლინებების განხორციელების შემთხვევები, რომლებიც შესაძლოა შეფასდეს, როგორც მოსამართლეთა დასჯა "ურჩი" მოსამართლეების ან, რიგ შემთხვევებში "დაწინაურება." აღნიშნული დარღვევის არსებობას ადასტურებს თავად სასამართლო ხელისუფლებაც. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გამოცემულ სასამართლო სისტემის 2013-2017 წლების ანგარიშში (https://shorturl.at/dhB35) ვკითხულობთ, რომ მოსამართლეთა მივლინება (რაიონში გადაყვანა) ე.წ. "ურჩი" მოსამართლეების დასჯის საშუალებას წარმოადგენდა. ამასთან, საიას მიერ 2013 წელს გამოქვეყნებულ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიშში (https://www.transparency.ge/sites/default/files/post_attachments/HCOJReport_final_geo.pdf) ჩანს, რომ წინა წლებში განხორციელებეულ მივლინებებთან დაკავშირებით არაერთი ხარვეზი დადგინდა. მათ შორის, 2011 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მივლინების შესახებ 42 გადაწყვეტილებიდან სხდომების ოქმები მხოლოდ 19 მივლინებასთან დაკავშირებით იქნა მიღებული. უმეტეს შემთხვევაში, არ ეწერა მივლინების ხანგრძლივობა, ასევე, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ კანონით სავალდებულო არ იყო, მომსამართლეთა უმრავლესობას მივლინების შესახებ თანხმობა განცხადებული არ ჰქონდა.
17. შესწავლას საჭიროებს ლელა ჭანიას ქონების კავშირი ლევან მურუსიძესთან. ჟურნალისტური გამოძიებით დგინდება, რომ ლელა ჭანია მოსამართლე ლევან მურუსიძის პარტნიორია, სავარაუდოდ ისინი საერთო მეურნეობას ეწევიან, რა შემთხვევაშიც, მისი ქონებაც ექვემდებარება დეკლარირებას. ჟურნალისტებმა გამოიკვლიეს, რომ ლელა ჭანია ფლობს მნიშვნელოვან ქონებას, კერძოდ, მის საკუთრებაშია 2016 წელს საირმეში შეძენილი ბინა (შეძენის ღირებულება 45 856 დოლარი), ამავე წელს თბილისში, მეფე მირიანის ქუჩაზე მდებარე ბინა (შეძენის ღირებულება 30 000 დოლარი), 627 კვადრატული მეტრის მიწის ნაკვეთი თბილისში (შეძენის ღირებულება 31 350 დოლარი), 2015 წელს ნაყიდი ბინა ბათუმში (შეძენის ღირებულება 24 000 დოლარი), თბილისში, დიდი დიღმის

ტერიტორიაზე 700 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი (შეძენის ღირებულება 35 000 დოლარი). ამასთან, გამოძიებით ირკვევა ისიც, რომ ლელა ჭანია ფლობს ძვირადღირებულ მოძრავ ნივთებს, სამკაულებს, საათებს, ტანსაცმელს. იმის გათვალისწინებით, რომ ლელა ჭანიას თანამდებობრივი სარგო თვეში 2750 ლარს შეადგენს, საეჭვოა, რომ აღნიშნული ქონება პირადი რესურსით ყოფილიყო შეძენილი.

18. 2019 წლის 16 თებერვლის სიუჟეტიდან ირკვევა, რომ სხვა ძვირადღირებულ ქონებასთან ერთად, მიხეილ ჩინჩალაძე რეალური მესაკუთრეა ვერაზე არსებული ბინისა და ავტოფარეხის, რომლებიც ჩინჩალაძის მამიდამ 2009 წელს 105,000 ლარად ($63,000) შეიძინა. ეს ბინები სწორედ მამიდის სახელზეა გაფორმებული. რეალურად, ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებში გამოკითხული წყაროს თქმით, სწორედ მიხეილ ჩინჩალაძეა ნამდვილი მესაკუთრე ამ ქონების. ასეთ შემთხვევაში, მიხეილ ჩინჩალაძე ვალდებული იყო მოეხდინა აღნიშნული ქონების დეკლარირება, ამასთან, დასადგენია ქონების წარმომავლობის დასაბუთების საკითხიც.
19. შპს "ბაზელის" მფლობელმა მედიასთან მაღალჩინოსნების მხრიდან ქრთამის მოთხოვნის ფაქტზე ისაუბრა. კერძოდ, შპს "ბაზელის" 89%-იანი წილის მფლობელმა, შვეიცარიელმა ინვესტორმა რონალდ ვოლდმენმა 2017 წელს თავის ბიზნეს პარტნიორს სასამართლოში უჩივლა. საქმე "დიდი ფულის პალატაში" მოხვდა. 2019 წელს დავამ სააპელაციო სასამართლოში და შემდეგ უზენაეს სასამართლოში გადაინაცვლა. რონალდ ვოლდმენის განცხადებით, კონკრეტულმა მაღალჩინოსნება მოითხოვეს მილიონობით ლარის ოდენობის ქრთამის გადახდა, რათა საქმის განხილვა გაგრძელებულიყო, ამის გამო საქმეში შვეიცარიისა და სხვა ქვეყნის საელჩოების ჩართვა გახდა საჭირო, რათა ქრთამის გადახდის გარეშე გაგრძელებულიყო საქმის განხილვა. ინვესტორი უკმაყოფილებას გამოთქვამს ქართული სასამართლო სისტემის მიმართ და ამ ხარვეზს ინვესტორების მხრიდან საქართველოში ფულის დაბანდებისგან თავის შეკავების მიზეზად ასახელებს.
20. ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებში დგინდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარეს, ვალერიან ცერცვაძეს, დიღომში არსებული სახლის აშენება დეკლარაციის თანახმად, 80 000 აშშ დოლარი დაუჯდა. მის საკუთრებაში შედის ასევე ჩოგბურთის კორტები. რაც შეეხება უძრავ ქონებას რაჭასა და ბორჯომის ხეობაში, ისინი მისი მეუღლის სახელზეა რეგისტრირებული. აღნიშნული ქონება ბადებს ეჭვს იმის შესახებ, რომ შესაძლოა ვალერიან ცერცვაძეს სამოსამართლო საქმიანობის გარდა, შემოსავლის სხვა წყარო აქვს.

    სწორედ ამ მოსაზრებას ადასტურებს 2018 წელს ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებში მოპოვებული მიმოწერა, სადაც ჩანს, რომ ვალერი ცერცვაძე მოსამართლეობასთან ერთად ბიზნეს საქმიანობასაც ეწეოდა. კერძოდ, წერილებში იკითხება, რომ ცერცვაძე "ელექტრონიქსის" მაღაზიათა ქსელს, "აიტექნიკსს", არაფორმალურად მართავდა. ვალერიან ცერცვაძის მიერ "აიტექნიკსის" არაფორმალურ მართვას ასევე ადასტურებს მისი სამსახურებრივი მანქანის "აიტექნიკსის" ბიზნეს რეკლამაში გამოყენება. 2016 წელს საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო"-მ გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია,

რომელიც ადასტურებს, რომ ვალერიან ცერცვაძისთვის სახელმწიფოს მიერ გადაცემული სამსახურეობრივი ავტომობილი ნამდვილად გამოყენებულია შპს "აიტექნიკის" ერთ-ერთ კომერციულ რეკლამაში. ამასთან, ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ შპს „აიტექნიკის" მოთხოვნის საფუძველზე დააყადაღა კონკურენტი კომპანია Iphone+-ის ანგარიშები და ქონება. Iphone+-ის წარმომადგენლებს, მიაჩნიათ, რომ სასამართლომ ეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის გავლენიდან გამომდინარე მიიღო, რომელიც უშუალოდ დაინტერესებულია ამ საქმის შედეგით. კანონის თანახმად, მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი გამონაკლისისა. ვალერიან ცერცვაძის მიერ კომპანიის არაფორმალური მმართველობა აღნიშნულ გამონაკლისში არ შედის.

21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის, გიორგი მიქაუტაძის საკუთრებაშია მშენებარე სახლი წავკისში, რომელიც, ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, 2020 წელს შეიძინა, ხოლო მშენებლობა 2021 წლიდან დაიწყო. სახლის მშენებლობაზე გაწეული ხარჯები 2023 წლის მონაცემებით 405 000 ლარს შეადგენს, თუმცა მშენებლობა არ არის დასრულებული. ჟურნალისტური გამოძიებით ირკვევა, რომ მოსამართლემ მშენებლობისთვის გამოიყენა დედის მიერ ნაჩუქარი 100 000 დოლარი და ასევე, ბანკის სესხი. გამოძიებას საჭიროებს დედის მიერ ნაჩუქარი 100 000 დოლარის წარმომავლობის კანონიერება, ასევე, გამოსაკვლევია რამდენად საკმარისი იყო მოსამართლის შემოსავლის ოდენობა, მისი ყოველდღიური ფინანსური ვალდებულებების გათვალისწინებით, ძვირადღირებული სახლის ასაშენებლად.
22. მოსამართლე გიორგი მიქაუტაძის მიერ სავარაუდოდ ყალბი დოკუმენტის წარმოდგენასთან დაკავშირებული ფაქტი, რომელიც მისი დედის დარეჯან კვარაცხელიას მიერ სააქციო საზოგადოება "ბახტრიონიდან" დივიდენდის სახით მიღებულ შემოსავალს ეხება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყოფილი პროკურორი, მაია მწარიაშვილი განმარტავს, რომ ფინანსური ანგარიშგებები, რომლებიც ფინანსთა სამინისტროსგან მოიპოვა, მიქაუტაძის მიერ ოფიციალური დოკუმენტების გაყალბებაზე მიუთითებს. კერძოდ, 2021 წლის ანგარიშგების თანახმად, კომპანია "ბახტრიონმა" სულ გასცა 228, 000 დივიდენდი ყველა აქციონერზე. ამ წელს ბატონი მიქაუტაძის დედა ფლობდა 17.26% აქციებს, შესაბამისად, დივიდენდის სახით მიიღებდა სულ 29,259 ლარს, რაც იმ შემთხვევაში, თუკი ეს განაწილდებოდა თვიურად, იქნებოდა 3279 ლარი.

    2022 წლის ოფიციალური ანგარიშგების თანახმად, გიორგი მიქაუტაძის დედა ფლობდა სულ 18,78% დივიდენდს. შესაბამისად, ამავე ანგარიშდების თანახმად, 2022 წელს დედამისი მიიღებდა დივიდენდს მხოლოდ 16,900 ლარის ოდენობი, რაც იმ შემთხვევაში, თუკი ეს თანხა განაწილდებოდა თვიურად, ეს იქნებოდა 1400 ლარის ოდენობით.

გიორგი მიქაუტაძის მიერ წარმოდგენილი ცნობის თანახმად კი, დარეჯან კვარაცხელიას მიერ მიღებული დივიდენდის ოდენობა თვიურად 17 ათასი ლარია. შესაბამისად, ყოფილი პროკურორის განმარტებით, მხოლოდ 2020-2022 წელს ას პროცენტიანი წილის ქონის შემთხვევაშიც კი, მიქაუტაძის დედა ვერ მიიღებდა აქ მითითებული ოდენობის დივიდენდს, ვინაიდან მაშინ კომპანიას არანაკლებ 200 ათასი ლარის ოდენობის დივიდენდი უნდა გაეცა, რეალურად კი კომპანიამ სულ 90 ათასი ლარის დივიდენდი გასცა. ყალბი დოკუმენტის შედგენა/გამოყენება სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებას წარმოადგენს.

დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი მართლმსაჯულების სისტემის პროფესიონალებისგან (ადვოკატები, ყოფილი მოსამართლეები, სამართლის ექსპერტები) შემდგარი ჯგუფია, რომლის მიზანია საქართველოს სასამართლო სისტემის გაჯანსაღება საზოგადოებასთან დიალოგის და ადვოკატირების გზით.

<u>ჯგუფის წევრები არიან:</u>

1. იოსებ ბარათაშვილი (ადვოკატი)
2. მაია ბაქრაძე (ყოფილი მოსამართლე, ადვოკატი).
3. თამარ გეგელია (სამართლის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი)
4. ირაკლი გაბრიჩიძე (ადვოკატი)
5. ლევან თორთლაძე (საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი)
6. ირმა კაკიაშვილი (იურისტი)
7. ირაკლი კორძახია (ადვოკატი)
8. უჩა ნანუაშვილი, ადამიანის უფლებათა ცენტრი (ყოფილი სახალხო დამცველი,)
9. ზაზა ხატიაშვილი (ადვოკატთა ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარე) ადვოკატი
10. ეკა ციმაკურიძე (იურისტი, დემოკრატიის ინდექსი).
11. ბესიკ ლოლაძე (პროფესორი, საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე)
12. თამარ ლალიაშვილი (პროფესორი, უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე)
13. ბესიკ სისვაძე (ყოფილი მოსამართლე, ადვოკატი).
14. ლია მუხაშავრია (ადამიანის უფლებების პრიორიტეტი).
15. ნათია ქუთათელაძე (დამოუკიდებელი ექსპერტი, ყოფილი მოსამართლე)
16. ირაკლი შავაძე (ადვოკატი, ყოფილი მოსამართლე)
17. თეა ხამხაძე (ადვოკატი, ყოფილი მოსამართლე).
18. თამაზ ჯალიაშვილი (ადვოკატი, ყოფილი მოსამართლე)
19. დავით ჯანდიერი (იურისტი, იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილე).
20. კახა წიქარიშვილი (მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის ყოფილი წევრი).